შ.პ.ს "ენ-სი ჯგუფი 2022"
NC Group 2022

21.11.2025 წ.

თბილისი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ შპს „ენ-სი ჯგუფი 2022"-ს მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი „ქსანი ჰესი"-ს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, თქვენს 2025 წლის 30 ოქტომბრის N21/10839 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ, ჩვენი 2025 წლის 18 ნოემბრის წერილით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაშვებული იყო უზუსტობა, კერძოდ: დოკუმენტაციაში არ იყო მოცემული ინფორმაცია ა/ო „მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე რეაგირების თაობაზე.

გამომდინარე აღნიშნულიდან, განმეორებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას თქვენი 2025 წლის 30 ოქტომბრის N21/10839 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ და გთხოვთ არ განიხილოთ ჩვენი 18.11.2025 წლის წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ქსანი 2 ჰესის საბოლოო საპროექტო სქემის ანალიზის ანალიზი შედეგად, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022"-ის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროექტის არ განხორციელების თაობაზე, კერძოდ: როგროც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული, პროექტის მიხედვით, ქსანი 2 ჰესის კაშხლის სიმაღლე შეადგენს 4.6 მ-ს და დაწნევის გაზრდის მიზნით გათვალისწინებულია ქვედა ბიეფში მდინარის კალაპოტის დაღრმავება.

ჩატარებული ტოპოგეოდეზიური კვლევის შედეგების მიხედვით, ფსკერდაღრმავების სამუშაოების ჩატარება საჭირო იქნება 2.2 კმ სიგრძის მონაკვეთზე, ხოლო დაღრმავების სიღრმე საწყის მონაკვეთზე იქნება 3 მ-ის ფარგლებში და თანდათან შემცირდება დინების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ქსანი 2 ჰესის სათავე ნაგებობის ქვედა დინებაში 650 მ-ს დაცილებით, მდ. მტკვარზე მდებარეობს სარკინიგზო მაგისტრალის სახიდე გადასასვლელი და მდინარის ფსკერდაღრმავების სამუშაოების შესრულება დაკავშირებული იქნება ხიდის ბურჯების მდგრადობის გაურესებასთან და შესაბამისად საფრთხეს შეუქმნის ხიდის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

გარდა აღნიშნულისა, მდინარის 2.2 კმ სიგრძის ფსკერდაღრმავების შემთხვევაში, გავლენის ზონაში ექცევა საპროექტო ძეგვი ჰესის შეტბორვის ზონა (ძეგვი ჰესის შეტბორვის კონტური ვრცელდება სარკინიგზო ხიდის კვეთამდე) და შესაბამისად ქსანი 2 ჰესის პროექტის მიზნებისათვის ფსკერდაღრმავების სამუშაოების შესრულება აზრს მოკლებულია. დაგეგმილი დაბალი კაშხლის პირობებში, ქვედა ბიეფის ფსკერდაღრმავების გარეშე, ჰესის პროექტის განხორციელება არ იქნება რენტაბელური როგროც ენერგეტიკული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ შესაძლებლობის შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გასცეთ მხოლოდ ქსანი 1 ჰეს-ის პროექტზე.

წერილს თან ერთვის: ინფორმაცია შპს „ენ-სი ჯგუფი 2022"-ს მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი „ქსანი ჰესი"-ს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 30 ოქტომბრის N21/10839 წერილში მოცემულ შენიშვნებზე, ასევე სოფ. ქსანის მოსახლეობის და მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ასამბლეის მოსაზრებებზე რეაგირების შესახებ, შესაბამისი დანართებით - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით,

გოჩა მუსელიანი

შპს „ენ-სი ჯგუფი 2022"-ს დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
"21" 11 2025წ.
№ 11681

მისამართი: ქ. თბილისი, ატენის 16ა,ბ.24
ს/კ:445670453 ტელ: +995 577 274 747
e-mail: newconstractgroup@gmail.com e-mail: gochamuseliani@yahoo.com